საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/11/2024

MES 6 24 0001446307

გადაწყვეტილება
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 29 აპრილის №1604 (ცენტრში რეგისტრაციის - №482552; 30/04/2024) წერილით შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირების", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი, "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების", "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2024 წლის 29 მაისის №595306 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 29 ივლისის №884119 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირების", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი, "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების", "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 26, 29, 30 და 31 ივლისს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		**x**		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**x**		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 01 ნოემბერს.
2.4 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

უმაღლესი ლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 11 ნოემბრის №1445451 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია ინგლისურენოვან აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე (EMBA) მიღების წინაპირობების უფრო დეტალური და ცხადი ფორმულირება. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის აუცილებლობა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის;
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წიგნებით;

- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებში: ბიზნეს კვლევის მეთოდები, პროექტების მართვა და კონსულტირება, ბლოკჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში, მწვანე დღის წესრიგი, მარკეტინგული ანალიზი;
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებში: ბიზნეს კვლევის მეთოდები, პროექტების მართვა და კონსულტირება, ბლოკჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში, მწვანე დღის წესრიგი, მარკეტინგული ანალიზი;
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებზე: პროექტების მართვა და კონსულტირება, ბიზნეს კვლევის მეთოდები, ბლოკჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში;
- პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია არსებულ სავალდებულო საგნებში ჩაერთოს ფინანსების, სტატისტიკისა და პროგნოზირების ელემენტები, ან მოხდეს მათი ჩანაცვლება ახალი სავალდებულო საგნებით, სადაც ეს თემები იქნება განხილული;
- რეკომენდირებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში: პროექტების მართვა და კონსულტირება, ბიზნეს კვლევის მეთოდები, ბლოკჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში;
- პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია არსებულ სავალდებულო საგნებში ჩაერთოს ფინანსების, სტატისტიკისა და პროგნოზირების ელემენტები, ან მოხდეს მათი ჩანაცვლება ახალი სავალდებულო საგნებით, სადაც ეს თემები იქნება განხილული;
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურებში: ბიზნეს სამართლის საფუძვლები, აკადემიური წერა, ბიზნესის საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტში, მენეჯმენტის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ეთიკა, საერთაშორისო მენეჯმენტი, გამოყენებითი სტატისტიკა, ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ცვლილებების მართვა, ლოგისტიკის საფუძვლები, კორპორაციული მართვის საფუძვლები, მცირე და საშუალო საწარმოთა მართვა, საქართველოს საგადასახადო სისტემა და დაბეგვრის თავისებურებები, შესყიდვების მართვა ბიზნესში;
- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სრულად თვითშეფასებისას, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტთა პროგრესია აკადემიური წლების მიხედვით, მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, როგორც ეს მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები, ასევე დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები და ვადები ამ სფეროების გასაუმჯობესებლად.

რჩევები:

- მიზანშეწონილია ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესების მეტი შემთხვევის ანალიზის (case study) ინტეგრირება, ასევე ინდუსტრიის ლიდერებისგან მენტორობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
- მიზანშეწონილია შეიქმნას მეტი შესაძლებლობები მაგისტრანტებისთვის კვლევით საქმიანობაში ჩასართავად, განსაკუთრებით ფაკულტეტის წევრებთან ან ინდუსტრიის პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით.
- მიზანშეწონილია კურსები გახდეს უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული და ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის ლაბორატორიული სწავლება ჩაერთოს ისეთ კურსებში, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი, მეწარმეობა და ბიზნესის რეგულირება.

- სილაბუსებში მითითებულია რამდენიმე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, სტუდენტები ვერ იღებენ ინფორმაციას სილაბუსიდან, თუ რომელი ლიტერატურაა რელევანტური იმ თემისთვის, რომელიც მათ უნდა შეისწავლონ. მიზანშეწონილია მითითებულ იქნას, თუ რომელი ლიტერატურაა შესაფერისი კონკრეტული თემისთვის.
- მიზანშეწონილია საერთაშორისო დაბეგვრის პრინციპების სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულ იქნას კონკრეტული სახელმძღვანელო, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპებს, მოდელებსა და კონვენციებს დაეყრდნოს, რომლებიც, მართალია, სასარგებლოა როგორც საუკეთესო პრაქტიკა და მაგალითები, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს იმავე დონის სტრუქტურირებულ დეტალებსა და სიღრმეს, რასაც სპეციალიზებული სახელმძღვანელო.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს ეწოდოს ფინანსური მენეჯმენტი და ანალიზი. (ამჟამად მას ეწოდება ფინანსების მართვა და ანალიზი).
- პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის მრავალფეროვან, გლობალურ სამუშაო გარემოში წარმატებისთვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, მიზანშეწონილია, შეთავაზებულ იქნას მეტი სემინარი და კურსი, რომლებიც ფოკუსირებულია ლიდერობაზე, კომუნიკაციაზე, კონფლიქტების მოგვარებასა და კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობაზე, რაც აძლიერებს პროგრამის მიზნებს, განავითაროს სტუდენტებისთვის მრავალფეროვან, გლობალურ სამუშაო გარემოში წარმატებისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.
- მიზანშეწონილია, ყოველწლიურად ჩატარდეს სასწავლო გეგმის განხილვის შეხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის რელევანტურობა და აქტუალურობა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს დარგისა და საზოგადოების განვითარებას პროგრამის მიზნების ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებთან და მოლოდინებთან შესაბამისობის შენარჩუნებით.
- მიზანშეწონილია, სპეციალური უნარებისა და კომპეტენციების ინტეგრირება პროგრამის სწავლის შედეგებში, რომლებიც რელევანტურია ახალი ტენდენციებისთვის, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადი განვითარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს რომ კურსდამთავრებულები ფლობდნენ უახლეს ინდუსტრიულ ინსტრუმენტებს და ჰქონდეთ პრაქტიკული უნარები, რითაც შენარჩუნდება მათი კონკურენტუნარიანობა და რელევანტურობა სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე.
- მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგებში გაძლიერდეს აქცენტი ისეთ რბილ უნარებზე, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ლიდერობა, ვინაიდან ეს უნარები სულ უფრო მეტად ფასდება დამსაქმებლების მიერ და აუცილებელია კარიერული წარმატებისთვის, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტებს მათ პროფესიულ ცხოვრებაში ეფექტური თანამშრომლობისა და ლიდერობის როლებისთვის.
- მიზანშეწონილია, გაიზარდოს კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის სიხშირე და სიღრმე მათი დიპლომის შემდგომი გამოცდილების შესახებ და იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად მოამზადა ისინი პროგრამამ კარიერისთვის, რათა შეფასდეს პროგრამის გრძელვადიანი შედეგები.
- მიზანშეწონილია, დამსაქმებელთა გამოკითხვების უფრო მჭიდრო ინტეგრაცია შეფასების მექანიზმში, რათა მიღებულ იქნას უფრო დეტალური უკუკავშირი კურსდამთავრებულთა მიერ სამუშაოს შესრულების და უნარების ნაკლოვანებების შესახებ, რაც შეაფასებს პროგრამის შედეგების შესაბამისობას ინდუსტრიის მოლოდინებთან და ეფექტურად მოამზადებს კურსდამთავრებულებს მათი როლებისთვის.
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლებისა და სტუდენტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;

- მიზანშეწონილია კურსები გახდეს უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული და უნივერსიტეტის ლაბორატორიები გამოყენებულ იქნას ყველა კურსში, სადაც ეს შესაძლებელია.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია სტუდენტებთან პროგრამის გაუმჯობესების შესახებ და მიიღოს მეტი რჩევა და რეკომენდაცია მათგან, რაც დაეხმარება დაწესებულებას მის სამომავლო განვითარებაში.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას. წაახალისეთ მათი მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.
- უნივერსიტეტში აღინიშნება შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ეფექტური პოლიტიკა და მექანიზმები ამ მაჩვენებლის შესამცირებლად.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 11 ნოემბერს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა